

ნონა არევაძე-კოტორაშვილი

პროგრამა „ახსენებ ქართული, როგორც მეორე ენა“

- კონსულტანტ-მასწავლებელი

პოსტერების გამოქვენება ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებაში

აბსტრაქტი

სახელმწიფო ენის ცოდნა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის ინტეგრაციისა და თვითრეალიზების უმთავრესი რესურსია, ამიტომ არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლება გაძლიერებულად მიმდინარეობს. სხვადასხვა ინოვაციურ მეთოდთან ერთად, ვიყენებთ სწავლებას **პოსტერებით** ბუნებრივი მიდგომის მეთოდის გამოყენებით. **ბუნებრივი მიდგომის** უპირატესობა იმით არის განპირობებული, რომ საკომუნიკაციო აქტივობები უფრო დაახლოებულია ყოფით გარემოსთან და ენის შემსწავლელს უადვილებს შესასწავლი ენის ათვისებას. პოსტერები, რომლებზეც მოცემულია ამა თუ იმ თემაზე გამოსახული კონკრეტული სიტუაცია, მასწავლებელს საშუალებას აძლევს, დაადგინოს, რა ლექსიკური ერთეულები და გრამატიკული კონსტრუქციები იცის მოსწავლემ და, ასევე, განსაზღვროს, რა დამატებითი ცოდნის ათვისებისთვის არიან ისინი მზად. ბუნებრივი მიდგომის დროს გამოიყენება მხოლოდ სამიზნე ენა, ხოლო მოსწავლის მშობლიური ენის გამოყენება მინიმუმამდ დაყვანილი. პოსტერის გამოყენებით ისე უნდა დაიგეგმოს გაკვეთილი, რომ მისაღწევი მიზნები და შედეგები შეესაბამებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას. თუ პოსტერის სიუჟეტი დამუშავდება ნაწილ-ნაწილ, ე.წ. „ფანჯრების“ მეშვეობით, მოსწავლეთა ყურადღება კონცენტრირებული იქნება კონკრეტულ საგნებსა და მოვლენებზე, მათ შესაძლებლობა მიეცემათ, გამოთქვან ვარაუდები და მეტი ინტერესით გახსნან სხვა „ფანჯრები“. საბოლოოდ, მთლიანად გახსნილ პოსტერზე მოსწავლეები ახერხებენ გაბმულად საუბარს ქართულ ენაზე, რაც მათ უმაღლესს სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაციას.

დღეს უკვე ყველასთვის ცხადია, რომ მხოლოდ ერთი ენის ცოდნა, თუნდაც სრულყოფილ დონეზე, არ იძლევა სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალებას. ამიტომ მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული ყურად-

ღება ექცევა მეორე ენის სწავლებას და შემუშავებულია მრავალი პროდუქტიული მეთოდი ამ მიმართულებით. საქართველოს განათლების სისტემაში ამ მხრივ ცდილობს, გაიზიაროს ევროპისა და ამერიკის საუკეთესო გამოცდილება

და სკოლებში ინერგება ის ტრადიციული თუ ინოვაციური მეთოდები, რომლებიც უკვე აპრობირებულია და წარმატებით მუშაობს მრავალ ქვეყანაში.

სახელმწიფო ენის ცოდნა დღეს ინტეგრაციისა და თვითრეალიზების ერთადერთი საშუალებაა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის. სახელმწიფო ენის სწავლება უკვე დიდი ხანია, გაძლიერებულია მიმდინარეობს აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან სკოლებში. თუმცა, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს, სწავლების რა მეთოდები და მიდგომებია ეფექტური, რათა შედეგი უფრო თვალსაჩინო და მზარდი იყოს.

მეორე ენის სწავლებაში სულ უფრო ხშირად აღიარებენ **ბუნებრივი მიდგომის** უპირატესობას, რაც იმით არის განპირობებული, რომ საკომუნიკაციო აქტივობები უფრო დაახლოებულია ყოფით გარემოსთან და ენის შემსწავლელს უადვილებს შესასწავლი ენის ათვისებას. ბუნებრივი მიდგომის გამოყენებისას მოსწავლეები თანდათანობით გადადიან მეტყველების პრეპროდუქციების ფაზიდან ადრეული, გარდამავალი და სრულყოფილი პროდუქციების ფაზებზე. ადრეული პროდუქციების ფაზაზე მოსწავლეები მხოლოდ არავერბალურად გამოხატავენ

სათქმელს, გარდამავალი პროდუქციების ფაზაზე ერთი ან ორი სიტყვით, ხოლო სრულყოფილი პროდუქციების ფაზაზე – ფრაზებითა და წინადადებებით.

ბუნებრივი მიდგომა ხუთ თეორიულ წინამძღვარს ეფუძნება და ამერიკელმა მეცნიერებმა, **ტრეისი ტერელმა** და **სტივენ კრაშენმა** შეიმუშავეს. ის ენის საკომუნიკაციო ფუნქციას ეფუძნება და ძირითადად იმ ენობრივ ერთეულებს იყენებს, რომელთა გაგებაც მოსწავლისათვის შესაძლებელია.

ეს თეორიული წინამძღვრები გულისხმობს შემდეგს:

- ენის ათვისება განსხვავდება ენის შესწავლისაგან. პირველი არის ქვეცნობიერ დონეზე მიმდინარე პროცესი, ხოლო მეორე - ენის წესების შეგნებულად გაცნობიერების პროცესი. მეორე ენის გამოყენების კომპეტენცია მხოლოდ ათვისების გზით არის შესაძლებელი. მეორე ენაზე კომუნიკაციის, ზეპირი მეტყველების გაგებისა და მეტყველების უნარები ათვისების პროცესში ჩნდება და ყალიბდება.
- შეგნებული შესწავლა მხოლოდ მონიტორისა და გამოთქმული ტექსტების ჩამსწორებელი ოპერა-

ტორის როლს ასრულებს. ამ პროცესში მოსწავლე საგანგებოდ ფიქრობს იმის შესახებ, თუ რა და როგორ გამოთქვას.

- გრამატიკული სტრუქტურების ათვისება გარკვეული, წინასწარ-განსაზღვრული თანმიმდევრობით ხორციელდება და მათი სხვა თანმიმდევრობით შესწავლას ნაკლები სარგებელი მოაქვს.
- ენას საუკეთესოდ იმ გზავნილებიდან ვითვისებთ, რომლებიც არსებული კომპეტენციის ფარგლებს მცირედ სცილდება. ამას უწოდებენ „აღქმად შენატანს +1“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი მიდგომით სწავლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა თემატური პოსტერები, ანუ დიდი პლაკატები, რომლებზეც მოცემულია ამა თუ იმ თემაზე გამოსახული კონკრეტული სიტუაცია. მასზე მუშაობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს, თავდაპირველად დაადგინოს, რა ლექსიკურ ერთეულებს და გრამატიკულ კონსტრუქციებს ფლობენ მოსწავლეები და, ასევე, განსაზღვროს, რა დამატებითი ცოდნის ათვისებისთვის არიან ისინი მზად. ბუნებრივი მიდგომის მთავარი ინსტრუმენტია ე. წ. „აღქმადი შენატანი“. ეს არის ნებისმიერი მესიჯი,

რომელსაც შემსწავლელი სასწავლო პროცესში მიიღებს და რომელიც მისთვის გასაგებია. მაგალითად, მასწავლებელი ამბობს: **„საჰილ, აღწერე, რა ხდება პოსტერის ამ ნაწილში“**. ეს მითითება საჰილმა შეიძლება ვერ გაიგოს იმის გამო, რომ მას არ ესმის სიტყვა „აღწერე“. ბუნებრივი მიდგომის მიხედვით, მასწავლებელმა ორი კონკრეტული მოქმედებით უნდა გადააქციოს ეს გაუგებარი მესიჯი აღქმად შენატანად:

1. შეცვალოს გაუგებარი სიტყვა გასაგები სიტყვით (მაგ. „მითხარი“, „თქვი“...),
2. სხეულის მოძრაობით, ნივთების ჩვენებით მიანიშნოს მოსწავლეს, თუ რის გაკეთებას სთხოვენ.

მნიშვნელოვანია, რომ ბუნებრივი მიდგომით გამოიყენება მხოლოდ სამიზნე ენა და ბავშვის მშობლიური ენის გამოყენება მინიმუმამდეა დაყვანილი. თემატური პოსტერი კი ამის კარგ შესაძლებლობას იძლევა, რადგან მოსწავლე ხედავს მისთვის ნაცნობ საგნებს და სიტუაციას, რასაც მშობლიურ ენაზე თარგმნა არ სჭირდება. ბუნებრივი მიდგომის ყველაზე გავრცელებული მეთოდია „სრული ფიზიკური რეაქცია“, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა რეაგირებას სხვადასხვა უესტით, როგორცაა -

თითო ჩვენება, თავის დაქნევა, სხვადასხვა სახის მიმიკა – ქესტიკულაცია და ა.შ., რაც, თავისთავად, ემსახურება იმას, რომ მასწავლებელმა ენის გაკვეთილისთვის განკუთვნილი დრო მაქსიმალურად გამოიყენოს ასათვისებელ ენაზე საურთიერთოდ.

სანამ უშუალოდ ჩემს გამოცდილებას გაგიზიარებთ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი მიდგომის დროს, პრეპროდუცირების ფაზაზე, არ არის რეკომენდებული კითხვისა და წერის, როგორც სასწავლო აქტივობის შემოტანა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოს, სადაც ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებს უხდებათ მუშაობა, შესაძლებელია ეს რეკომენდაცია შეიცვალოს იმ საჭიროებების მიხედვით, რა მოცემულობის წინაშეც აღმოჩნდება მასწავლებელი. თუ ჩვენ კონკრეტულ ჯგუფთან (მაგ., 1-ლ კლასში) პირველად ვიწყებთ ენის სწავლებას, მაშინ, ცხადია, იმ რეკომენდაციებს მივყვებით, რაც ბუნებრივი მიდგომის მეთოდით და ზოგადად პოსტერებზე მუშაობისას არის რეკომენდებული, თუმცა, ხშირია შემთხვევა, როცა მასწავლებელი შედის ჯგუფთან, მაგალითად, მე-5 კლასში და მას სწავლება უხდება სამ, სხვადასხვა ფაზაზე მყოფი მოსწავლეებისთვის,

შესაბამისად, მან, ვინც იცის წერა-კითხვა და მეტყველების გამოვლენის ფაზაზეა, უნდა მიიღოს შესაბამისი დონის სწავლება, რათა მოიმატოს მოსწავლის ცოდნის დონემ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი ენის ფლობის დონის შემდგომი ზრდა-განვითარება. აქედან გამომდინარე, მასწავლებელმა შეიძლება მოახდინოს მეთოდის მოდიფიცირება და უარი არ თქვას პოსტერების გამოყენებაზე.

ახლა მინდა ჩემი გამოცდილების შესახებ გიამბოთ. უნდა ითქვას, რომ პოსტერებით მუშაობის საშუალება ყველა სკოლას არ აქვს და ეს ერთგვარ პრივილეგიადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა, აღნიშნული რეგიონების სკოლებში, სადაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს პროგრამას „ასწავლე ქართული, როგორც მეორე ენა“, მასწავლებლებს სასწავლო რესურსის სახით გადაეცათ განსხვავებულ თემებზე შექმნილი პოსტერები. ამან საშუალება მომცა, სხვადასხვა საფეხურზე მყოფი მოსწავლეთათვის პოსტერებზე დაყრდნობით და ბუნებრივი მიდგომის მეთოდით დამეგეგმა და განმეხორციელებინა სწავლება.

თავდაპირველად პოსტერების საშუალებით ენის სწავლების

მეთოდებზე ინფორმაცია ამერიკელი განათლების სპეციალისტის ალან კროუფორდის ტრენინგებზე მოვისმინე, მას შემდეგ კი, როცა ეს რესურსი ჩემს ხელთ აღმოჩნდა, გადავწყვიტე, ეს მეთოდები გამომეყენებინა ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში.

პირველ რიგში, შევარჩიე მეთოდები, მიზნები და მისაღწევი შედეგები, რომლებიც, სასურველია, შეესაბამებოდეს ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტში შესაბამისი კლასის მიზნებსა და მისაღწევი შედეგებს. მაგ.:

• ქ. მ.V.21. მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.

შედეგი თვალსაჩინოა,

თუ მოსწავლე:

- სურათებზე დაყრდნობით აგებს და ჰყვება მარტივ ამბავს;
- საუბრობს მისთვის ნაცნობ თემებზე (მაგ., ოჯახში, ნათესავების/ მეგობრების შესახებ, თავისუფალ დროს და სხვა).

ასევე, წინასწარ გავითვალისწინე ის, თუ რამდენად შეესაბამებოდა პოსტერის თემა სახელმძღვანელოს თემებს. ჩემი აზრით, ეს მნიშვნელოვანია, რათა პოსტერიდან სახელმძღვანელოსთან დაბრუნება

მოსწავლისათვის დამაბნეველი არ აღმოჩნდეს.

თავად მეთოდის არსი კი ესაა - პოსტერი იფარება თეთრი ქაღალდით ისე, რომ მასზე შესაძლებელი იყოს ე.წ. „ფანჯრების“ გამოჭრა. „ფანჯარა“ უნდა იხსნებოდეს და იხურებოდეს იმის მიხედვით, თუ რომელი ეპიზოდის გამოჩენა გსურთ კონკრეტულ შემთხვევაში. ეტაპობრივად ხდება პოსტერის ცალკეული ეპიზოდების დამუშავება. პოსტერის მხოლოდ ერთი ნაწილი იმიტომ არის გახსნილი, რომ მოსწავლეების ყურადღება კონცენტრირებული იყოს კონკრეტულ საგნებზე და საგანთა სახელების ჩამოთვლისას თავიდან ავიცილოთ სხვა ლექსიკური ერთეულების დასახელება. ამავე დროს, მოსწავლეებში ინტერესს გამოიწვევს პოსტერის დაფარული ნაწილი და მათ შესაძლებელია ივარაუდონ, რა აღმოჩნდება სხვა „სარკმლის“ გახსნისას - გაიგონ, გამართლდა თუ არა მათი ვარაუდი. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ თუ მთლიანად „გახსნილ“ პოსტერს ხანგრძლივი დროით დავტოვებთ მოსწავლეთა თვალთახედვის არეში, ერთი და იმავე სურათის ცქერამ, შესაძლოა, მათ შესასწავლი მასალის მიმართ ინტერესი გაუნელოს, რაც

სწავლების პროცესში ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია.

მას შემდეგ, რაც „გაიშლება“ პოსტერი და უკვე დამუშავებული იქნება

ცალკეული ეპიზოდები, მოსწავლეების დახმარებით ვაძგენ ტექსტს ისე, რომ პოსტერი ერთ მთლიან ამბავს გადმოსცემდეს.



ტექსტი დანაწევრებული უნდა იყოს აბზაცებად, ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მისი არათანმიმდევრული თხრობა. ეს საშუალებას აძლევს მოსწავლეს, დაზვიანების გარეშე, ნებისმიერი თანმიმდევრობით ისაუბროს პოსტერზე გამოსახული თემის ირგვლივ. როდესაც პოსტერი თითქმის გამთლიანებულია და ტექსტიც შედგენილია, მოსწავლეებს ეძლევათ დამოუკიდებელი სამუშაო – ისინი ჯგუფურად, ერთი ეპიზოდის ირგვლივ თვითონ ადგენენ ტექსტს, რომელიც იქვე დამუშავდება და ტექსტს დაემატება გასწორებული სახით. ეს აქტივობა ერთგვარი სკაფოლდინგია – მოსწავლეებს ისეთი დავალება ეძლევათ, რომელიც მცირედ სცილდება მათი შესაძლებლობების ზღვარს და ხორციელდება პრინციპი – „აღქმად შენატანს +1“.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ თხრობა, პოსტერზე ვამაგრებ ბარათებს, რომლებზეც დაწერილია გრამატიკული კონსტრუქციები და ახალი ლექსიკური ერთეულები, რათა ენის შემსწავლელის ემოციურმა მდგომარეობამ არ დაბლოკოს და გაფილტროს ენის ათვისების პროცესი. აღნიშნული

ბარათები სწორედ ამ ფილტრების მოხსნის კარგი საშუალებაა.



როცა მოსწავლეები ბოლომდე აითვისებენ და გაიაზრებენ ტექსტს, შესაძლებელია მისი გაანალიზება გრაფიკული ორგანიზატორების – სქემების, დიაგრამების საშუალებით.

ნებისმიერი აქტივობა და მეთოდი გათვლილია გარკვეულ შედეგზე, შესაბამისად, პოსტერის ასეთი მეთოდებით დამუშავების შემდეგ, მოსწავლეები ახერხებენ ვრცელი ტექსტების გადმოცემას და უჩნდებათ განცდა, რომ მათ შეუძლიათ ქართულად გაბმულად და გამართულად საუბარი – ისინი უბრალოდ კი არ იზვიანებენ ტექსტს, არამედ გააზრებული აქვთ მთელი შინაარსი, შეუძლიად ეპიზოდები არათანმიმდევრულადაც გადმოსცენ და უპასუხონ შეკითხვებს პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე. გრაფიკული ორგანიზატორების

დახმარებით, შეუძლიათ ტექსტის ანალიზი, ათვისებული ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული კონსტრუქციების განსხვავებული შინაარსის გადმოსაცემად გამოყენება.

ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის უარყოფითი მხარეებიც, რომლებიც თან ახლავს პოსტერზე მუშაობის პროცესს:

1. ყოველთვის არ შეესაბამება სახელმძღვანელოს თემას.
2. პოსტერზე მუშაობა მოითხოვს სისტემატურობას და ამ

პერიოდში სახელმძღვანელოს გამოყენება თითქმის ვერ ხერხდება.

3. გარემო და რესურსების ნაკლებობა.
4. შესაძლებელია ერთი პოსტერი, თუ ის გარკვეულ ვადაში არ დამუშავდა, მოსაბეზრებელი გახდეს ბავშვებისთვის.

მიუხედავად ამისა, პოსტერებით მუშაობის შედეგი იმდენად თვალსაჩინოა, რომ ერთხელ გამოყენების შემდეგ ის მასწავლებლის განუყრელი რესურსი ხდება.

Nona Arevadze-kotorashvili

Program “Teach Georgian as a second Language”

Teacher-consultant

Use of Posters for Georgian as a Second Language Teaching

ABSTRACT

State language teaching for ethnic minorities in Georgia is extremely important for integration and resocialization. According to the above-mentioned state language learning at non Georgian schools is getting more intensive. With variety innovative methods including natural teaching method with posters has its advantages, that means a close collaboration between communicative activities and real environment during the teaching process which makes language acquisition easier. The posters presents a reflection of different kind of lifetime situations, which gives teachers an opportunity to define lexical and grammatical knowledge of each students and therefore to find the gaps and provide students with an additional knowledge. The main advantages of the natural approaches is to use a target language more and reduce usage of mother tongue during the learning process. Teaching with posters should be corresponding to the National Curriculum goals and results. If the plot of the posters is presented with the different perspectives, students will focus on each subject and actions of the story presented on the poster, that encourage them to express own ideas, interests as well as their own assumptions on the subjects. As a result students are able to speak in Georgia more or less fluently, and it promotes to rise awareness and increase motivation of state language learning.